

რის საქირაა მშვიდობიანი თანამშრომლობა, რათა დამტკიცონ რომ ისინი ღირსნი არიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობისა, ადერბეიჯანის პარლამენტმა დრმა სულიერი მღელვარებით მოისმინა, სამწუხარო ცნობა, კავკასიის ორ მოძვე ერთა საქართველოს და სომხეთს შორის მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ.

20 ქრისტ. საგანგებო სხდომაზე, პარლამენტმა ერთხმად დაადგინა, მიმართოს საქართველოსა და სომხეთის პარლამენტს ძმური მოწოდებით, იმოქმედონ თავიანთ მთავრობაზე და ყოველი თავისი ძალღონე მოახმარონ მომხდარ ინციდენტის მშვიდობიანად მოგვარებას. კავკასიის დემოკრატიის სურვილია, რომ კავკასიის ერთა შორის ყველა საღაო საკითხები მოგვარდეს შეთანხმების და არბიტრაჟის გზით. ადერბეიჯანის პარლამენტი მოგმართავთ თქვენ, ნანდილ ხალხის წარმომადგენელთ, ძმური მოწოდებით, შეაჩეროთ სისხლის ღვრა და აცდინოთ ამიერ-კავკასიის სისხლის ნიღვარი, რადგანაც ამ სისხლის ღვრას ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის მოსაზრობა მოსდევს.

ტყვეების დაბრუნება ავსტრო-გერმანიიდან. ავსტრო-გერმანიიდან თბილისში რუსთა ეროვნულ საბჭოში დიდძალი რუსთა და სხვა ეროვნებათა ტყვეები ჩამოვიდნენ. რადგანაც რუსთა ეროვნულ საბჭოს საშუალება არ მოეპოვება, ამიტომ მან მიმართა საქართველოს მთავრობას სუფსიდიისთვის ტყვეების რუსეთში გასაგზავნათ.

ძარცვა. 23 დეკ. საღამოს 9 საათზე მოსკოვის ქუჩაზე, გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელს ვ. მიულერს 4 შეიარაღებული ბოროტ მოქმედი დახვდნენ და 10,000 მან. წაართვეს.

ტუსაღის მოკვლა. 23 ქრისტ. მილიციონერებს ტუსაღი გ. გრიგორიანცი მიყვდათ. პატიმარმა მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ არ გაქცეულიყო მაინც გაქცევა დააბირა. მილიციონერებმა ესროლეს და იქვე მოკლეს.

ქურდობა. 23 დეკ. სიღამოს 6 საათზე მ. გელაშვილის [ფხესა] მგლები სახელსიდან დიდი მთავრის ქუჩაზე № 74, ბოროტმოქმედებმა 10,000 მან. ფული და 1660 მან. ღირებული საქონელი გაიტაცეს.

მოწოდება. საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრმა შემდეგი მოწოდება გამოსცა: „რკინის გზის მუშებს ჯერ კიდევ ვერ მოუწყობიათ წელში გასწორება. წინა თვეების მძიმე განცდისაგან, რომ ახლად სდგანან ახალ მსხვერპლთა წინაშე.“

ხალხის მტრებმა ავანტიურისტულ პოლიტიკით დაბრმავებულებმა შესძლეს სომხეთის დემოკრატიის ძმათა სისხლის მორევში ჩათრევა და სანაინის ხეობაში იღვრება უდანაშაულო სისხლი ორ მოძვე ერთსა.

საქართველოს დემოკრატია ძალღონე იკრებს ვერაგ მტერთან საბრძოლველად. ვიმედოვნებ, რომ რკინის გზის მუშები შემებრძოლთა პირველ რიგში ჩაღვებიან და თავის მკერდით დაიცვენ საქართველოს რესპუბლიკას.

დანიშნა. თბილისის ღენერალ-გუბერნატორის განკარგულებით თბილისის მაზრის საგანგებო რწმუნებულად, მაზრის კომისარი გამართული დანიშნა, გორის მაზრის საგანგებო რწმუნებულად იმავე მაზრის კომისარი ქარცივაძე დანიშნა.

სასურსათო განყოფილებაში. სასურსათო განყოფილება ქალაქის სამმართველოსი ამით აღწყვეს ყველა თავის დაწესებულებებს, რომ დღეიდან წისკვილებს არ ეცლები, რადგანაც ხორბალი იფუჭის, ამიტომ მცხოვრებლებისათვის პური არ გამოცხვება 28 დეკემბრამდის.

ლურჯ ბილეთიანების გაწვევა. სახმელრო მინისტრის ბრძანებით ჯარში გაიწვევენ ლურჯ ბილეთიანებს, რომელნიც ჯაბადებულნი არიან 1892, 93, 94 და 95 წლ. მობილიზაციის პირველ დღეთ 24 დეკემბერია გამოცხადებული. მიღება ყოველ დღე, დილის 8 საათიდან საღამოს 16 საათ. სამხედრო უფროსის ბინაზე, სადგურის ქუჩა თაშაშოვის სახლი.

მა ქიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონური საზოგადოების კრება თქვენის სახის მიესალმება ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას და აცხადებს, რომ იგი ყოველის ძალღონით დაეხმარება მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში ვერაგ მტრის წინააღმდეგ, ჯარის საქირებისათვის კრებამ ვადასლა 150,000 მან. დიდება ქვეყნისა და თავისუფლების დამცველ ჯარსა და გვარდასს.

თელავის სომხობა. თელავიდან საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: თელავის სომხების მრავალრიცხოვანი კრება, 21 დეკ. საქართველოს და სომხეთს შორის შექმნილ მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდეგ, პროტესტს აცხადებს სომხეთის მთავრობის ავანტიურისტულ მოქმედებზე, რომლის შედეგია ორ მოძვე ერთს შუა სისხლის ღვრა. თელავის სომხობა საღამოს უძღვრის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და პირდაპირ ყოველ გვარ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვაში. ამასთანავე ვთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები მოძვეთა ერთების სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. თავმჯდომარე **ხითაროვი.**

მდგომარეობა ფრონტზე. გუშინ სადახლოსთან მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. მტრის ძლიერი ძალა შეტევას აწარმოებს. სადახლოსთან შემოტევის დროს სოფელ შულაგერის მცხოვრებლებმა გააფუჭეს ტელეგრაფი და რკინის გზა რამოდენიმე ადგილას. ბრძოლა გრძელდება. მიღებულია სათანადო ზომები.

საპროკომ არჩევნები ზუგდიდის მაზრაში. საქართველოს იმ ადგილებში მოხდა საერობო არჩევნები, სადაც ანარქიას ალაგი არ ქონდა, სადაც ხალხი დამშვიდებული და დაწყნარებული იყო. ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები ეხლა დასრულდა. ეს ახსნება ერთი მხრით იმ არეულობით, რომელსაც ადგილი ქონდა ზუგდიდის მაზრაში და რომლის ჩაქრობას მთავრობამ მთელი ორი-სამი თვე მოანდომა.

ხალხმა არ იცოდა რა იყო, რა ხილი იყო ერობა, რისთვის იყო საქირა და რა უნდა გაეკეთებინა მას. ერობაზე მხოლოდ არჩევნების დღეს ლაპარაკობდნენ, არჩევნების დღეს უხსნიდნენ. ამ საქმეზე უნდა დანიშნულიყო ორი სამი თვის წინეთ ინსტრუქტორი, რომელიც აუხსნიდა ხალხს და შეასწავლიდა მას ერობასა და მისი მნიშვნელობას. გაკვირვებული მკითხველი შემაკითხება: ნუ თუ საერობო არჩევნებისთვის ინსტრუქტორი არ იყო დანიშნული?!

კითხვის პასუხი ასეთი იქნება: მართალია, ზუგდიდის მაზრაში, ზუგდიდის სამაზრო საარჩევნო კომისიამ დანიშნა ჯერ კიდევ ადრე საერობო ინსტრუქტორად მენშევიკი ალ. ჩიქავა და მას დაუნიშნა ჯამაგირად 1500 მან. მაგრამ წარმოადგინეთ თქვენ, რომ ამ დანიშნულ ინსტრუქტორს არ დაუვლია მაზრის მთელი სოფლები, არ მოუხდენია ყველგან სახალხო კრებები და სათანადო პროპაგანდა არ გაუწეოთ. სარგებლობაც არ ნახოს... ამის შემდეგ ვანა გასაკვირალია რომ ხალხს ნაკლები წარმოდგენა ქონდეს ერობაზე და მის არჩევნებში დიდ აბსენტიზმს ქონდეს ადგილი? ამას ისიც დაუმატეთ, რომ ალ. ჩიქავა, მაზრის ინსტრუქტორი, ვიდრე ერობის არჩევნები მოხდებოდა მაზრაში, მთელი თვე თბილისში იჯდა პარტიულ ყრილობაზე...

მაგრამ ასე თუ-ისე, მაზრაში ერობის არჩევნები დანიშნა ახ. სტილით პირველ დეკემბერს. სამაზრო საარჩევნო კომისიამ მთელი მაზრა დაჰყო ხუთ საარჩევნო ოლქად. ქ. ზუგდიდი კი გამოჰყო ცალკე რაიონად და ირჩედა ერთს ხმოსანს.

ამავე კომისიამ დაადგინა: საბიულეტენო ქალაქები თვითონ მოეტანა და შემდეგ მიეყიდა პარტიებისთვის. პარტიებისაგან კი წარმოდგენილი იყო სამი სია: ფედერალისტებმა და მენშევიკებმა ბლოკი შეკრეს და პირველი ნომრით გამოვიდნენ. მეორე ნომერი ეროვნულ-დემოკრატებს დარჩათ და მესამე კი სოციალისტ-რევოლუციონერებს.

საბიულეტენო ქალაქების მოსატანად საარჩევნო კომისიამ ვაგზაუნა ახ. ან. ანჯაფარიძე (ს. დ.) რომელსაც უნდა მოეტანა სამივე პარტიისთვის ქალაქები, მაგრამ წარმოადგინეთ საოცრება: იმ დროს, როდესაც უნდა იბეჭდებოდეს სიები, მოდის ეს ამხანაგი და გვიცხადებს ჩვენ სოც.-რევ. ქალაქი ბლოკისთვის ვიზოვით და თქვენთვის ვერაო.

ეს იყო პირველი ხრიკი გაკორტებული მენშევიკ-დაიწყა არჩევნები. მთელი მენშევიკობა ფედერალისტებისთვის ფეხზე დადგნ. ახ. სენაკიდან და ფოთიდან 14 კაცი გაამოწერეს. გარდა ამ 14 კაცი და ადგილობრივი ძალებისა საარჩევნოდ მათ ფეხზე დააყენეს მთელი ადმინისტრაცია. მაზრის კომისიიდან დაწყებული უბრალო ათისთავამდე შეიარაღდნ ჩვენ დასამარცხებლად.

მაზრის კომისარი, სოფლის კომისარი, მილიციონერი, კომისიების თავმჯდომარე ყველა მათ ხელში იყო. ყველა მათ ეხმარებოდა. მთავრობისაგან დისტ უფასოთ ცხენი და მცველებათ ორი და სამი მილიციონერი ყავდა.

მაზრის კომისარი მილიციონერი დადიოდა იმ სოფლებში, სადაც ჩვენ დიდი გავლენა გვქონდა.

გამოდიოდნენ მითინგებზე მთავრობის სახელით, გაიძახოდნენ პირველი მთავრობის ნომერია და ხმა მას მიეცითო. ვიც წინააღმდეგობას გაბედავდა მათთვის ოქმი და ციხე მზად იყო, რომ მთელს მაზრას ვერ გაწვდნ ორ რაიონში არჩევნები მეორე კვირისთვის გადადევს. და მიწვევდა იმას ასახელებდნ, რომ სიები შედგენილი არ არისო. ნამდვილად კი მათ არ ქონდათ ორგანიზაციები მოწყობილი და ამიტომ გადადევს... სოფლებში დაიოდნ და ხალხს აშინებდნ: თქვენ თუ მისცემთ ხმას მესამე ნომერს დაგიქვრთ და ციხეში ჩაგვამთო. მაგალითები უთვალავია.

წალენჯიხის პირველ რაიონში ადმინისტრაციის რეზრესიამ ჩვენ წინააღმდეგ მოლოდინს გადააქარბა. ჩვენს სოფლებს ამხანაგებს, რომელნიც სოფლებში ორგანიზაციებს

ხელმძღვანელობდნ, იქვედნ, სდევნიდნ, იმისთვის, რომ ისინი მოქმედებდნ. **ქ. ზუგდიდი**

ს. ჯვარში შედივარ მოგვივიდა ამი. დ. ქანტუროსა დასაქერათ ბრძანება. უნდოდათ არჩევნების დღეს მოემორბინათ ამხანაგი, მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. მათ ვერ შესძლეს მისი დაქერა და სხვა ხერხი გამოიგონეს. რაკი დანიხავდნ ამომრჩევლებს, რომ ხმას აძლევდნ სოც.-რევ. იმ დროს ყუთს დახურავდნ. ს. ჯვარში შეგროვილი იყო 800-დამომრჩეველი ხმის მისაცემად, რომ შენიშნეს, ხალხი მესამე №-ს აძლევდა ხმას, თვით მენშევიკებმა ასტეხეს არეულობა და შემდეგ ეს მოიმიზეს და იმავე მაზრის ინსტრუქტორის, ალ. ჩიქავას ბრძანებით ყუთი დახურეს და ნახევარ საზოგადოებას მოუსხვეს საშეაღება ხმის მაცემისა.

ს. ფახულანში მესამე ნომრის დამრიგებელი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. ს. ჰალაში უბრძანეს № 3-თვის ხმა არ მიეცათ. მიმცემთ დაქერით ემუქრებოდნ.

რაიონის კომისარი ოცი მილიციონერით სოფელ-სოფელ დაძრწოდა და ხალხს აძალებდა: არ გაბედოთ მესამე №-ს ხმა არ მისცეთო. ხალხი ძლიერ დაშინებული იყო. არაფერს ზოგავდნ, ოლონდ ჩვენი სია დაემარცხებიათ.

ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა სამი პარტია: ბლოკი და ეროვ. დემოკრატები, მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა - და ზუგდიდის მშრომელ დემოკრატებმა მათ ზურგი აქცია.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ვამოსვლები ბლოკის წარმომადგენლების—ჩვენ წინააღმდეგ, რას არ გაიძახოდნ ისინი?

1-ლი, მოუწოდებდნ ხალხს არ მიეცათ ხმა № 3-თვის. იმისთვის, რომ ეს პარტია რუსეთში გაჩნდა და აქ ადგილი არა აქვსო.

2-რე, ეუბნებოდნ ხალხს—თუ თქვენ სოც.-რევოლუციონერები აირჩიეთ, მაშინ აქ გამეფდება ანარქია.

3-მე, საზოგადოებას უჩიჩინებდნ სოც.-რევოლუციონერებს თურქების შემოსვლა უნდათო.

4, სოც. რევოლუციონერები მიწას ყველას წაგართმევენ და გაგაროლუტარებენო.

5, სოც. რევოლუციონერები აქამდის არ იყვენ, ახლა გამომდნენ და თქვენზე ბატონობა სურთო. ყოველ მათ ზემოპოყვანილ ცილისწამებაზე ჩვენი ამხანაგები ღირსეულ პასუხს აძლევდნ.

ჩვენს მოწინააღმდეგეთ არაფერმა უშველა. ზუგდიდის მაზრის დემოკრატებმა მათ ზურგი შეაქცია. მაზრის უმრავლესობა ჩვენს დროში ქვეშაა.

იცოდეს ყველამ, რომ „გლეხურ საქართველოში მომავალი ჩვენი“ ესერა.

სომეხ-ქართველთა ომი.

„ქართლი ფეხზე დგება“...
 ორშაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს რვა საათზე, თბილისში ჩამოვიდნ ახლად ჯარში გაწვეული ქართველები გორის მაზრიდან. ჩამოსულთა რიცხვმა ყოველ მოლოდინს გადააქარბა—ყოფილი ჯარისკაცები მოსდებოდნ ქუჩას და მოდიოდნ მწყობრათ ზურნით, გაშლილი მთელ რუსთაველის პროსპექტზე, ისინი შიარული სახეებით, გაუმარჯოს საქართველოს! ძახილით მიდიოდნ სასახლისკენ. მათ შეუერთდა მრავალი ხალხი და გამართა დიდი მანიფესტაცია. „ვაშა! გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს ჯარს!“—გაისმოდა ხალხში და ჯარისკაცებიც ამავე სიტყვებზე უხსუხებდნ.

ჯარი მიადგა სასახლეს. გაისმა აღფრთოვანებული ყიჟინა. ამ დროს, როგორც გამოირკვა, ყოფილიყო მთავრობის სხდომა. „ჟორდანია, ჟორდანია!“—გაისმა ხმები.

გილო სასახლის ფანჯარა და გამოჩნდა ნ. ჟორდანია. მთავრობის თავმჯდომარე მიესალმა მოზღვავებულ ჯარს და მოკლე სიტყვაში აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაში ჩაყენა მუხანათ მტერმა ჩვენი სამშობლო. დასასრულ ჟორდანია იუსურვა ჯარს გამარჯვება, რაზედაც ხალხმა „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ძახილით უხასუხა. ჟორდანიას შემდეგ, ხალხის მოთხოვნით, სასახ-

ლის იფნიდან ილაპარაკა ნოე რამიშვილმა, რომლის სიტყვები დაფარულ იქნა ტაშის ცემით და ვაშას ძახილით. გაისმა მეთაურის ხმა და ეს ვეება ხალხი მწყობრათ გაეშურა ყაზარმებისაკენ. გზაზე ხალხი ჯარს ოვაციებს უმართავდა და ვაშას ძახილით აცილებდა. ჯარისკაცებმა გადმოგვეცეს, რომ მთელი ქართლი „ფეხზე დადგა“ და უამრავი ხალხი მიდის ბრძოლის ველზედაო. მოხუცი და ახალგაზრდა ერთი მეორეს ეჯობებინან წინ წახვლაში. მოხალისეთა და ჯარისკაცთა სელა სოფლებიდან შეუწყვეტილი იქნება, სანამ ომი არ ვითავდებაო.

შორანის მაზრაში.

შემოგვიარე ხარაგაულის რაიონი. აღფრთოვანება ხალხში დიდია. ბეჟანთ-უბნის, ლეღვანის და ხარაგაულის საზოგადოებათა მრავალრიცხოვანი მითინგები საღამოს უძღვრის მთავრობას. იმედოვნებს, რომ ვერაგ მტერი ჩვენი სამშობლოსი შემუსრული იქნება. მთელი ჩვენი ძალღონით თქვენთან ვართ დაბრძოლით დაუშტკიცებთ მტერს ქართველი დემოკრატიის სიძლიერეს. შორანის მაზ. ხმოსანი პრ. ფანცულია. ასეთივე დეპეშები მოსდის საქართველოს ყოველი კუთხიდან. **150,000 მ. შეწირულება.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპე-


საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა.

14 დეკემბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ახ. ივანე გობეჩია. სხდომის გახსნისას თავმჯდომარე ავანებს ამხანაგ დელეგატებს, რომ ჯერ კიდევ ბლოკით არის დარჩენილი გასარჩევი საკითხები და რომ ბევრი დრო არ დიხარჯოს, საქირა, რაც შეიძლება ეკონომია გავწიოთ ამ მხრივ და თავის დროზე ყრილობა დავასრულოთო.

ამის შემდეგ საბიულეტეო კომისიის წევრი, ახ. გ. მამამთავრიშვილი აცხადებს სხდომას, რომ შემოვიდა ორი მანდატი: გორისა და ხაშურის ორგანიზაციების წარმომადგენლების. მანდატები მტკიცდება. **ახ. ლ. შენგელაია** აცხადებს

სხდომას რეზოლიუციას (ც. კ. და ფრაქციის მუშაობის შესახებ) გამომუშავებული კომისიის სხდომის შედეგს: კომისიამ დაადგინა, გამოიტანოს რეზოლიუცია ც. კ. მოხსენების შესახებ იმის შემდეგ, რაც პრესაზე მოხსენებას მოისმენს ყრილობა, ვინაიდან პრესის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული ც. კ.-ის მუშაობასთანო.



საგანი: მე ჩემს მოსწონებაში შევეხები მხოლოდ პროგრამის რევიზიის საქმეებს. საკითხს; თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, როგორი სისწრაფით ვითარდებიან საერთაშორისო მოვლენანი, რომელთა გავლენასაც ჩვენ განვიცდით, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ საქირაო ჩვენი პროგრამის ვადაშინჯვა, პროგრამის შეჯერება სინამდვილესთან.

მას შემდეგ, რაც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სრულიად რუსეთის ყრილობამ მიიღო ეს პროგრამა, ცხოვრების წიაღში ბევრი დიდშენიანელობა დაქტობრები შეიქრა, და არსებობდა შესცავლა ცხოვრების ის პირობები, რომელსაც ანგარიშს უწყვედა და უფარდებდა თავის მოქმედებას პარტია, როდესაც ის პროგრამას იმუშავებდა. მსოფლიო ომი, თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი მოითხოვს ჩვენი პროგრამის ცხოვრებასთან შეფარდებას, მის ვადაშინჯვას ცხოვრების შეცვლილ პირობათა თანახმად. მაგრამ ასეთ ვადაშინჯვამ, რევიზიამ შეიძლება მიმართოს პროგრამული მოთხოვნებიდან მარჯვნივ, ან და მარცხნივ.

ჩვენ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რეაქციის ბურჟის ალმოსავლეთში — რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობას, მეორე ასეთივე ევროპის ქანდარმის — ჰოვენ-კოლერნის დინასტიის ჩამოგდებას, თვით საქართველოში რეაქციონური ელემენტების სისუსტეს და სხვა გარემოებათა, — ჩვენთვის ცხადი უნდა იქნეს, რომ ვადაშინჯვა პროგრამულ მოთხოვნებიდან უნდა იქნეს მარცხნივ.

ჩვენი პროგრამა რომ ვადავათავალოთ, დავრწმუნდებით, რომ როგორ მუხლი უკვე ნამდვილ ანარქიზმს წარმოადგენს, და ეს ბუნებრივია, ვინაიდან პროგრამის გამოუშვებების ჩვენ სუსტსა და უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდით; როგორ შემთხვევაში ჩვენმა პარტიამ კეთ აულო ალლო ცხოვრებას, ვინმე სხვა პარტიებმა, მათ ვერ გამოიხატეს სრულიად შორს მჭვრეტეობა; აი თუნდა ბოლშევიკები; მის — 6 წლებში ისინი ბურჟუაზიან კოალიციის დამცველთა ვადაშინჯვას, 917 წლის მარტში, რევოლუციის დასაწყისში ლენინმა თავის ლექციაში, რომელიც მან პროგრამაში წაიკითხა, ერთს თანდასად წამოაყენა: „სოციალიზმის უფლებლობა რუსეთში“ („Невозможен социализм в России“) და ამოღენივე თვის შემდეგ სწორედ თვითვე დებულების დამცველ სოციალისტებს ის სოციალიზმისა და რევოლუციის საქმეთა მოლაღატეთა უფლებიდა.

დაბას, ეს მაგალითი ნათელს ადებს, თუ რამდენათ წინ წაუსწროთ ვირობის სინამდვილემ, თუ რამდენათ ვერ აუღდა ალლო მას სხვა სოციალისტურმა პარტიებმა; ჩვენი პარტია ამ მხრივ სხვებზე გაცილებით უფრო მომზადებული აღმოჩნდა მაგრამ იმდენად სწრაფი ცვლილება განიცადა ცხოვრებამ, რომ გი პუნქტი ჩვენი პროგრამისა, ეს უკვე სრულიად დაქველდებულ და არაფერს ეუბნება მკითხველს; აი თუნდა დასაწყისი ჩვენი პროგრამისა, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე რუსეთი თავისი ბიუროკრატიული წყობილებით, ყოველგვარ მემტარულ თავისუფლების მოპოვებული მოქალაქეებით, — ეს სრულიად არ შეეფერება, რასაკვირველია სინამდვილეს, და სრულიად იმეტი, თუმცა ის ძვირფასია ალდას ის არის მებრუნათა სისხლით შეღებილი.

ანდა სხვა გვერდები ჩვენი პროგრამისა (კითხულობს 6 — 8 გვერდს), რომ ვადავათავალოთ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს აწი უადგილოა, რომ ცხოვრების თანამედროვე პირობებს ის სრულიად არ შეესაბამება და როგორც ასეთი, ცხადია, არც უნდა დარჩეს პროგრამაში, ძირიანად უნდა იქნეს შეცვლილი.

სანამ ჩვენ უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ წაგლეჯის პოლიტიკას ვაწარმოებთ — ნათქვამია პროგრამაში, აქ სრულიად არ არის გათვალისწინებული ის მდგომარეობა, რომელიც რევოლუციის შემდეგ შეიქმნა; აქ სახელმწიფო ცალკეა, პარტია ცალკეა, და ილაშქრებს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ცდილობს წაგლეჯოს მის რაიმე ცვლილებები. აქ სრულიად არ არის გათვალისწინებული ის, რაც რევოლუციამ მოუვლინა რუსეთს: ხალხის წილიდან გამოსული დამფუძნებელი კრება, რომელშია გა-

ბოლშევიკების ცნობები (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აკრძალული პრესა)

მოსკოვი. 23 დეკ. ა. ც. კ. ბექდეთი ბიუროს ბიულეტენი. რესპუბლიკის რევოლუციონერთა სამხედრო საბჭომ სამხედრო წაწილების უფროსებს ბრძანებით მიმართა, რომ თავის ნებითი სურსათის რეკვიზიცია აკრძალოს. დამნაშავენი გადასცენ სამხედრო სავლელ სასამართლოს. ჟურნალისტთა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო კავშირის ნორმალური წესდება და დაადგინა, რომ კავშირის მოსაწყობათ 7 ჟურნალისტი საქმარსია, ცენტრალურ კავშირზე დასასწრებლათ რომელიც 27 დეკემ. გაიხსნა დღეგატები გამოდიან. სამხედრო ცენზურის შესახებ მომხსენებელი ირალოვი იქნება.

სმოლენსკი. 23 დეკ. ყოველდღე მიემზადება 15000 სამხედრო ტყვე, რომელნიც უზრუნველყოფილი არიან ტანისამოსით. მათ თან მიაქვთ რევოლუციონური ლიტერატურა.

ნაუენი. 22 დეკ. ინგლისის გაზეთი „დეილი-ნიუსის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ებერტმა სთქვა, რომ გერმანიას საფრთხეში ადგებს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა რადგან ჯარისკაცი უფრო გადაიტანს ყველა ვაჭიერებას ფრონტზე, ვიდრე შინ. და თუ ხალხი სურსათის კრიზისის უმწვეო მდგომარეობაში ჩავარდა, მაშინ ექვს

საზღვარ-გარეთ

ინგლისური პრესა, 23 დეკემბერი. გერმანული გაზეთი „ფორვერტსი“ იუწყება, რომ ადგილი შესაძლებელია ბერლინი შეთანხმების სახელმწიფოების ჯარმა დაიჭიროს. ვილსონმა და იტალიის მეფემ პარიზში ერთმანეთი ინახულეს. ისპანიის მინისტრ პრეზიდენტი ჩაიდა პარიზში, რათა ვილსონთან ერთად განიხილოს ის საკითხები, რომელიც ისპანიის ინტერესებს ეხება და აგრეთვე საკითხი საზავო კონფერენციაში ისპანიის მონაწილეობის შესახებ. ამ ვიზიტს ისპანიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ეს ნიშნავს პარიზის ნახევარკუნძულზე გერმანიის იმპერიალიზმის საბოლოო დამარცხებას.

პაერობლანების კონსტრუქტორები მძანი ფარმანი იუწყებიან, რომ მათ განზრახული აქვთ პარიზსა და ლონდონს შუა საზავო კერძო მიმოსვლა მოაწყონ. ამ მიზნით გამოყენებული იქნება პაერობლანები, რომლებშიც ოც-ოცი მეზავრი ჩაეტევა. დან ტიმეს ატყობინებენ, ის აიიის თავრობამ აუწყა გერმანიის

დამწყვეტ უმეტესობას სოციალისტები წარმოადგენდნენ. პროგრამა გულისხმობს აწ უკვე არ არსებულ პირობებს სოციალისტ-პოლიტიკური ცხოვრებისა, და რაც დღეს ჩვენ გვიხდება პარტიული პოლიტიკის წარმართვა ასე თუ ისე, ჩვენ არ უნდა დავიფიწყოთ, რომ ბევრი იმ პოლიტიკურ მოთხოვნის-ლებათაგან, რომლისთვის ბრძოლას მიზნათ ისახავდა პარტია, აწ უკვე განხორციელებულია.

აი კიდევ ერთი საკითხი: ჩვენ მოვითხოვდით ეროვნული საკითხის გადაჭრას — ფედერაცია-ავტონომიის ნიადაგზე; ჩვენი პროგრამა სრულ თვითგამორკვევის პრინციპს იცავდა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავტონომიური საქართველოს მოქალაქე კი არა ვართ, არამედ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ვქმნით... (შეუფერა იქნება).

გარეშე, რომ ბოლშევიკი გამლიერდება და გამეფდება.

კიუტიხი. 22 დეკ. სოფლის ქუჩებზე შეტაკება მოხდა. უკანასკნელი ცნობებით ბულგარეთში ბოლშევიზმი თანდათან ძლიერდება.

კოპენჰაგენი. 23 დეკემბერს, საფრანგეთში ფრანგების და რუს კაპიტალისტების სინდიკატი დაარსდა. მასში შედის ყველა თვალსაზრისით რუსი ბე-ტყის მრეწველი.

ისპანიის მეფე ალფონსო 23 დეკ. პუენკარეს შემდეგ დემოკრატიულად გადადგინდა. თქვენ გამოიგზავნეთ მე-დალი ნიშნად საფრანგეთის მადლობისა. მე ვერ მომიძებნია სიტყვა ჩემი სიხარულის და ღრმა მადლობის გამოსახატვათ იმ ერთგულებისა და თანაგრძობაზე, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ საფრანგეთის სახელით ჩემდამი გამოსთქვა. მე ყოველ ზომებს ვიღებდი, რომ შემემსუბუქებია ის ტანჯვა, რომელსაც გამირულათ იტანდა თქვენი მამაკი ერი, რომლისადმი მე მუდამ ვგრძნობდი გულწრფელ სიმპატიებს ჩვენ ხალხთან ერთად, და ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ ამის საბუთს, ჩემს მოვალეობათ ვსთვლი აგრეთვე მადლობა ვადაგისადლო თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, იმ შეხვედრისთვის რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პარიზში ჩასვლისას.

საქართველოს შვილნი და მოქალაქენო!

ჩვენ სამშობლოს მოადე ვერაგულად მტერი, რომელიც კრავის ქურქში იყო გახვეული, და მშვიდობიანი, დაჩაგრული მოქალაქის სახელით სარგებლობდა ჩვენი კაცთ-მოყვარეობით და სულგრძელობით. დღეს ამ დიდი ზნის მეზობლის გაბატონებულმა წრეებმა, ვეღარ დაძალეს გულში ნადები ღვარძლი და უიმედო იმედებით გათამამებულნი თავს დაგვეხსნენ მახვილ ამოწვდილნი. დემოკრატიულმა საქართველომ დაინახა რა, რომ ამისთანა მტერთან მშვიდობიანი და ძვირისიტყვა უძლეული გაქვდა, მოღვრებულ სომხის მახვილს ქართული ხმალი მიაგება, რათა დაიკვას უტოფარ ადამიანთაგან საყვარელ სამშობლოს საზღვრების ხელშეუხლებლობა, დემოკრატიული ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ყველა ქართველი მიეშურება მტერთან საპროლოკელათ. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო, განურჩევლად ეროვნებისა, დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია ყველა მეომარი, რომელიც დღეს თავგანწირულად იცავს რესპუბლიკას. ჩვენი თანამებრუნებელი დემოკრატიული დაწარმებით მანაც ყველა მოქალაქე დაიღოსვალად ფრონტზე მყოფ სახალხო გვარდიის, რევოლუციონერულ და მოხალისეთა რაზმების ჯარის კაცთა საშობაო საჩუქრების მიწოდება.

მინალთ სოფალს!

ნათქვამია — უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო — და სწორეთ ასე დავმართა ჩვენ ხალხსაც. სხვა უბედურებასთან ერთად, მას თავს დაატყდა კიდევ ახალი უბედურება. მე მოვასწენებთ ახალ ავადმყოფობის „ისპანკის“ შეხახებ, რომელიც მოედო ზოგელ ქალაქებსა და სოფლებს და დიდსა და პატარას მუსრს აულებს.

სოფელში, ცხადია, ის უფრო მაგრათ იკიდებს ფეხს და მსხვერპლთა რიცხვიც უფრო დიდია, ვიდრე ქალაქში. რადგან ეს უკანასკნელი სამკურნალო და სხვა დახმარების მხრივ უკეთეს პირობებშია, ვიდრე პირველი. სოფლათ ავადმყოფები ხშირათ მოკლებულნი არიან ყოველგვარ სამკურნალო დახმარებას, რადგანაც როგორც ექიმის, ისე წაშლის შოვაც ძალიან ძნელი და ძვირია, ხოლო ამდენ ხარჯების გაწევა ძნელია ჩვენი ხელმოკლე გლეხობისათვის.

ზოგიერთ ოჯახში 10-11 სულია ლოგინად ჩავარდნილი და ამ რიგათ მოკლებულნი არიან საშუალებას თვით მაინც დაეხმარონ ერთმანეთს. ამიტომაც არის, რომ ხშირათ თითო ოჯახში 4-5 კაცამდე ამ ავადმყოფობის მსხვერპლი.

ამ რიგათ, ჩვენი სოფელი საშინელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. სიკვდილის პროცენტი ძალიან დიდია.

ერობამ, რომელიც უკვე თითქმის ყველა მახრამია შემოღებული და რომლის ხელში, სხვათა შორის, გადავა სამკურნალო მზრუნველობის საქმეც, ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის საქმე საქირა და სასურველ სიმაღლეზე უნდა დააყენოს. ხოლო ვიდრე პროცესი ერობის ხელში ადგილობრივ მართვა-გამგეობას გადასვლისა დასრულდებოდეს, საქირა ვისგანაც ვერ არს მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მეტი ფხის, ენერჯის და საქმის სიყვარულის გამოჩენა.

საქმე მეტი საშურია და დაყოვნებამ შეიძლება დიდი ზიანი მოგვიტანოს.

ისპანიის ნათლული.

საქველ მოქველო საზოგადოების მოწოდება.

საქართველოს შვილნი და მოქალაქენო! ჩვენ სამშობლოს მოადე ვერაგულად მტერი, რომელიც კრავის ქურქში იყო გახვეული, და მშვიდობიანი, დაჩაგრული მოქალაქის სახელით სარგებლობდა ჩვენი კაცთ-მოყვარეობით და სულგრძელობით. დღეს ამ დიდი ზნის მეზობლის გაბატონებულმა წრეებმა, ვეღარ დაძალეს გულში ნადები ღვარძლი და უიმედო იმედებით გათამამებულნი თავს დაგვეხსნენ მახვილ ამოწვდილნი. დემოკრატიულმა საქართველომ დაინახა რა, რომ ამისთანა მტერთან მშვიდობიანი და ძვირისიტყვა უძლეული გაქვდა, მოღვრებულ სომხის მახვილს ქართული ხმალი მიაგება, რათა დაიკვას უტოფარ ადამიანთაგან საყვარელ სამშობლოს საზღვრების ხელშეუხლებლობა, დემოკრატიული ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ყველა ქართველი მიეშურება მტერთან საპროლოკელათ. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო, განურჩევლად ეროვნებისა, დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია ყველა მეომარი, რომელიც დღეს თავგანწირულად იცავს რესპუბლიკას. ჩვენი თანამებრუნებელი დემოკრატიული დაწარმებით მანაც ყველა მოქალაქე დაიღოსვალად ფრონტზე მყოფ სახალხო გვარდიის, რევოლუციონერულ და მოხალისეთა რაზმების ჯარის კაცთა საშობაო საჩუქრების მიწოდება.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის მხრივ გადასცა საქმისათვის 50,000 ლარი. რეშეა, რომ არც ერთი მოქალაქე არ აიკიდეს თავიდან ამ ფრიად საჭირო, საჭირო ზნეობრივად საჯალდებულო დახმარებას მებრძოლ ძმათვის. დახმარება მიიღება: ფუთით, გამოშუშებული პურით (სუხარი), კონსერვით, სხვადასხვა სასმელებით, თუთუნით, თუთუნის ქალოლით, პაპიროსით, ჩაი-შაქარით, თბილი ტანისამოსით, საცკლებით, ფეხსაცმელით, თბილი წინდებით, ძაფით, ლილით და სხვა.

შემომწირველთა სია ყოველ კვირა გამოქვეყნდება გაზეთებში. შემოწირულება მიიღება ყოველ დღე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა № 5.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოწოდება.

დეკლემბი ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა.

1. ქალაქის საბჭოს ხმოსანები ამიორჩევიან ორი წლის ვადით. ხმოსანთა რიცხვის რაოდენობა თვითუფლები ქალაქისათვის განსაზღვრულია ამასთანავე დართულის ნუსხით.

2. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენის დაწყებამდე შესრულებია ოცი წელი, და ცხოვრობს ამ ქალაქში, ან აქვს შინაური მოწყობილი მეურნეობა, ან იმყოფება აქ სამსახურში ან და აქვს რაიმე სხვა განსაზღვრული საშუალება.

3. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს: ბერ-მონაზონი და ის პირი, რომელიც კანონიერის წესით გიყად ან კეუაზე შეშლილად, ან ყრუ-მუნჯად არის გამოცხადებული.

5. საარჩევნო უფლება არა აქვთ:

- 1) ვისაც სასამართლომ მიერ სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, უკეთუ განაჩენი ძალაშია შესული და თუ ახლილი უფლება არ დაბრუნებია;
- 2) კატორღა მისჯილს, სასჯელის მოხდის შემდეგ ათა წლის ვასვლამდე;
- 3) დასჯილს ქურდობისათვის, გარდა ამისა, რომელიც გათვალისწინებულია 171 მუხლის, 2 პუნქტით სასჯელთა წესდებისა, რომელთაც მოპირებულთა მოსამართლენი მიუხედავ (კან. კრებ. ტ. 15 გამოც. 1914 წ.) დასჯილს დატყუებისათვის, ჩაბარებული ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის, გარდა იმ გაფლანგვისა, რომელიც გათვალისწინებულია იმავე წესდების 177 მუხ. მეორე ნაწილით და სისხლის სამართლის და განსწორებულ სასჯელთა დებულების მე-1681 მუხ. მეორე ნაწ. (1912 წ. ვაგრძ. კან. კრებ. ტ. 15), მოპარულის დამალვისათვის, განზრახ მოპარულის ყიდვისა ან გირაოდ მიღებისათვის, ვისაც ეს ხელობა აქვს გადაქეუული, საყალბისათვის, შეგანშობისა, ქრთამის აღების ან ქრთამის მიკემისათვის და აგრეთვე სიძვის შუამდგომლობისათვის და გარყენილობის ხელის შეწყობისათვის (კანონ. კრებ. ტ. 15 სისხ. სამ. დებ. გამ. 1909 წ., მუხ. 524 — 526 და 529).

აგრეთვე ისეთ მოქმედებისათვის, რომ ლის მიზანი იყოს კანონმდებლობის განხორციელების, ან თვითმართველობის ორგანიზაციის არჩევნებისათვის უფლებებისა და სისწორის დარღვევა, —სამი წლის ვადამდე დღიდან სასჯელის მოხდისა;

3) ვერ შეძლო მოვალე, რომელიც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით ბოროტ-განზრახულ ვერ შეძლო იქნება გამოცხადებული, —სამი წლის ვადამდე დღიდან გამოცხადებისა.

6. ხმოსანად და მის კანდიდატად შეიძლება არჩეულ იქნეს გარდა იმ პირისა, რომელსაც აქვს ხმის მიცემის უფლება, ისეთი, რომელიც ქალაქში არ ცხოვრობს, არა აქვს ბინა, სამსახური ან სამუშაო (მუხ. 2), მაგრამ აკმაყოფილებს არჩევნებში მონაწილეობისათვის სხვა საჭირო პირობას.

7. თვითთელი ქალაქის მოსახლეობა შეადგენს ერთს საარჩევნო ოლქს, თუნდაც ეს ქალაქი განაწილებული იყოს, არჩევნების გასაღწევილებლად რამდენსამე საარჩევნო უბნად.

8. საარჩევნო სიებს შეადგენს ქალაქის გამგეობა.

9. ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი საარჩევნო სიები საყოველთაოდ განსახილველად გამოცხადებულ უნდა იქნეს იმ საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს მათი განხილვის სიადვილეს.

10. ხუთი დღის განმავლობაში დღიდან სიების გამოცხადებისა, საყოველთაოდ განსახილველად აღვილობრივი აღმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელს შეუძლიან განაცხადონ პროტესტი, მხოლოდ ამომრჩევლებს შეუძლიან განაცხადონ სიების უსრულობა, ან უსწორობა. ასეთი პროტესტი და სჩივარი უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობას, რომელიც ვალდებულია განიხილოს იგი ხუთი დღის განმავლობაში და შედეგი გამოუცხადოს მომხივანს. თუ ამ ვადის განმავლობაში მომხივანს შედეგს ვერ გამოუცხადებს ან უარს გეტყვის საჩივარზე, მომხივანს შეუძლიან პროტესტით ან საჩივრითვე მიმართოს სათანადო ინსტანციას აღმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია ხუთ დღეში განიხილოს ქველა საჩივარი. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი, მაგრამ შეიძლება მისი განსაჩივრება უზენაეს სასამართლოში. ეს საჩივრები მიღებულ უნდა იქნეს განსახილველად მხოლოდ არჩევნების საზოგადოებრივ განსახივრების დროს იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ამ კანონის 32 მუხლში.

11. საარჩევნო სიები შესწორების შემდეგ, მე-8 მუხლში ნაჩვენებში წესით არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების დღემდე ხელმოწერად გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაოდ განსახილველად.

12. ის პირი, რომელიც საარჩევნო სიაში შეტანილი არ იქნება, ან არჩევნებში მონაწილეობის უფლებას დაკარგავს არჩევნების დღემდე, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

13. არჩევნები უნდა მოხდეს კვირა ან უქმე დღეს, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით. თუ ქალაქი დაყოფილია რამდენსამე საარჩევნო უბნად, ყველა უბანში არჩევნები უნდა მოხდეს ერთსა და იმავე დროს. საარჩევნო კომისიები, არჩევნების დღეს მოქმედებენ დღის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დღე, საათი და ადგილი არჩევნებისა ქალაქის მოურავმა არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების დღემდე უნდა

გამოაცხადოს საყოველთაოდ იმ საშუალებით, რომელსაც მიიღებს ქალაქის საბჭო.

14. არა უგვიანეს ათი დღისა, არჩევნებამდე ამომრჩევლებს უფლება აქვთ წარმოუდგინონ ქალაქის მოურავს სიები იმ კანდიდატებისა, რომელთაც განუცხადებიათ სურვილი კენჭის ყრისა. რიცხვი კანდიდატებისა არ უნდა აღემატებოდეს ხმოსანების საერთო რიცხვს, რომელიც უნდა არჩეულ იქნეს ამა თუ იმ ქალაქში. იმ სიებში, სადაც ზედმეტი კანდიდატია ნაჩვენები, ბოლოში მოთავსებული კანდიდატები უნდა ამოიშალოს. სიებს ხელი უნდა მოაწეროს იმდენმა ამომრჩევლმა, რომ მათი რიცხვი საარჩევნო ხმოსანთა ნახევრის ნაკლები არ იყოს. თვითთელი ამომრჩევლებს შეუძლიან ხელი მოაწეროს მხოლოდ კანდიდატების ერთს რომელსამე სას. ყველა სია წარედგინება ქალაქის მოურავს, რომელიც დანომრავს მათ შემოსვლის რიგის მიხედვით და სიების წარმომადგენელთა სურვილისამებრ აღნიშნავს პარტიის, ან ჯგუფის სახელსაც. ამნაირი სიები საყოველთაოდ გამოცხადდება შეიძის დღით აღრე არჩევნებამდე, რაიც უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული წესით.

15. ხმოსანთა არჩევნების მოსაწესრიგებლად უნდა შესდგეს ქალაქის საარჩევნო კომისია ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში ქალაქის მოურავი მოიწვევს სამ პირს ამომრჩევლთაგან. თუ ვინცია, რომელიც უგვიანეს, რომელიც ხმოსანთა კანდიდატების სია წარადგინა, არ დაასახელა ვინმე განსაკუთრებული პირი საარჩევნო კომისიის წევრად, საარჩევნო კომისიაში შევა ის პირი, რომელსაც პირველად უწერია ხელი სიაზე.

16. თუ ქალაქი განაწილებულია რამდენსამე საარჩევნო უბნად, ქალაქის საარჩევნო კომისიის გარდა არსდება საუბნო საარჩევნო კომისიები. ქალაქის მოურავი თავმჯდომარეობს ერთ-ერთს ამნაირ კომისიაში თავისი სურვილისამებრ. დანარჩენს კომისიების თავმჯდომარეებს ქალაქის მოურავი მოიწვევს ამომრჩევლთაგან. უბნის კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის წევრებად მოიწვევს სამ პირს. გარდა ამისა ხსენებულ კომისიაში თვითთელი ჯგუფს, რომელსაც წარმოდგენილი აქვს კანდიდატთა სია, შეუძლიან იყოლოდს ერთი თავისი წარმომადგენელი.

17. ყოველივე ამომრჩევლის პიროვნება დადასტურებული უნდა იქნეს საარჩევნო ბარათით, რომელიც უნდა აღნიშნულ იქნეს ამომრჩევლის სახელი, მამის სახელი, გვარი და არჩევნების ადგილი. ამნაირ ბარათს ყოველივე ამომრჩეველი მიიღებს ქალაქის გამგეობაში. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მოვალეა არჩევნებს ჩამაშოროს ის პირი, რომელსაც შეკრებილ ცნობათა მიხედვით უფლება არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. არჩევნებამდე წაითხულ უნდა იქნეს მე-24 მუხლები. ამისთანავე ამომრჩევლებს უნდა განუშარტონ, რომ ის პირი, რომელიც უკანონოდ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, დასჯილი იქნება სისხლის სამართლის 3281—3287 მუხლ. ძალით (იხ. მუხ. 29).

არჩევნებში ყველას თითო ხმა აქვს.

19 არჩევნები უნდა მოხდეს ფართული ხმის მიცემით ე. ი. დახურული ბარათების საშუალებით. თვითთელი მოქალაქის შეუძლიან მისცეს ხმა მხოლოდ კანდიდატთა ერთ ერთს სიას.

20. საარჩევნო ბარათში ნაჩვენები უნდა იყოს ნუმერი ხმოსანთა კანდიდატების სიისა, რომელსაც ამომრჩეველი ხმას აძლევს. ამომრჩეველი ბარათს ჩასდებს სუფთა, უმპყირავლო ერთფეროვანი ქაღალდის კონვერტში, რაზედაც არავითარი ნიშანი არ უნდა იქნეს. კონვერტებს ამზადებს ქალაქის გამგეობა და თავისივე ბეჭედს დასვაქს. ამომრჩეველი პირდალ თვითონ ჩასდებს ბარათს კონვერტში, თვითთვე დაწებებს და კომისიის სხდომის დროს თვითთვე ჩააბარებს დაწესებულ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ დაბეჭდილ ყუთში ჩაუშვებს ამ კონვერტს. კონვერტს, რომელიც არ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, აგრეთვე დასერილი და შესწორებულია, ხმების დათვლის დროს ანგარიში არ მიიღება.

21. არჩევნების დროს წესიერებისათვის თვალყურის დევნება მპარტებს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მოვალეა ყური უგდოს, რომ შენობაში, სადაც დანიშნულია არჩევნები, მხოლოდ არჩევნები სწარმოებდეს და არავის უფლება არ მისცეს თავისუფალსა და წესიერი არჩევნების დარღვევისა და აგრეთვე ამავე შენობაში წინასწარი აგიტაციისა.

22. ბარათების მიცემის მეორე დღეს, დანიშნულ საათზე უბნის ამომრჩეველი კომისიები, თუ არჩევნები სწარმოებდა უბნებში, იმ ამომრჩეველთა თანდასწრებით, რომელნიც გამოცხადებია, საჯარო სხდომაზე დასთვიან ხმებს. შედეგი აღნიშნება ცალკე ფურცელზე, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები და მაშინვე წარედგინება ქალაქის საარჩევნო კომისიას.

23. ქალაქის საარჩევნო კომისია მთელს საარჩევნო ოლქში არჩევნების გათავების მეორე დღეს, თუ ქალაქი საარჩევნო უბნებად არ დანაწილებულია, ან მეორე დღეს იმის შემდეგ, როცა წარუდგინენ მას (ქალაქის საარჩევნო კომისიას), უბნების საარჩევნო კომისიები საარჩევნო წარმოებას, დანიშნულ საათზე საჯარო სხდომის დროს დასთვიან ხმებს მოსულ ამომრჩეველთა თანდასწრებით და აღნიშნავს შედეგს ცალკე ფურცელზე, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

24. საერთო რიცხვი ხმოსანთა, რომელიც არჩეული უნდა იქნეს მთელს საარჩევნო ოლქში, განაწილებება პროპორციონალურათ სიათა შორის თვითთელი მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის მიხედვით.

25. თვითთელი სიის ხმოსანთა ხვედრი რიცხვის გამოსარკვევად ასარჩევ ხმოსანთა რიცხვი უნდა გამრავლდეს თვითთელი სიისათვის მიცემულ ხმათა საერთო რიცხვზე ცალკე და გაიყოს მთელ საარჩევნო ოლქში მიღებულ ხმათა რიცხვზე, მიღებული რიცხვი გვირგნებს ხმოსანთა რაოდენობას თვითთელი სიაზე. ხმოსანებად ჩაირიცხება თვითთელი სიიდან რიცხვი პირველიდან დაწყებული, იმდენი, რამდენიც გვირგნა გაყოფიდან მიღებულია ციფრმა. თუ ზემო ნაჩვენებში გაყოფისგან მივიღებთ მთლიან რიცხვებს ნაწილადებით, ან მხოლოდ ნაწილადებს, რის გამო ხმოსანთა საჭირო რიცხვს დააკლდება ერთი ან რამდენიმე ხმოსანი, მაშინ, მიღებული ნაწილადები ჩამოიწერება რიცხვზე შედარებით სიდიდის მიხედვით და დანარჩენი ხმოსანები გააწილებიან იმ სიათა შორის, რომლებიც მიიღებენ უდღეს ნაწილადებს.

26. თუ კანდიდატთა ერთსა ამ რამდენსამე სიაში, რიცხვი ამ კან-

დიდატებისა იქნება ნაკლები ხმოსანთა რიცხვის, რომელიც თანხმად შემორე 25 მუხ. უნდა იყოს ამოღებული სათანადო სიებიდან, ხმოსანთ ამ შემთხვევაში ჩაირიცხება ყველა დასახელებული კანდიდატი, ხმოსანთა გაუნაწილებელი რიცხვი კი უნდა განაწილდეს დანარჩენ სიათა შორის, იმ წესით, როგორც ნაჩვენებია 25 მუხლში იმ განსხვავებით, რომ გასანაწილებელი ნაწილი გამოავლებული იმ რიცხვზე, რომელიც მიცემულია თანხმად სიისათვის, გაიყოფა არა იმ ხმების რიცხვზე, რომელიც მიცემულია ყველა წარდგენილი სიისათვის, არავე მხოლოდ იმ ხმების რიცხვზე, რომელიც მიცემულია იმ სიებისათვის, რომელთა შორის ხდება ხმების განაწილება.

27. როდესაც საერთო რიცხვი არჩეულ ხმოსანთა შესდგება და სიები დაიწერება, საარჩევნო კომისია დანარჩენ პირთ, რომელნიც ირიცხებიან სიებში, მაგრამ არ მოქცეულან ხმოსანთა რიცხვში, ჩაენიშნავს კანდიდატებათ იმავე რიგით, როგორც ისინი ეწერენ სიაში.

28. საარჩევნო კომისიებში თავმჯდომარეების მიერ ამომრჩეველთაგან მოწვეული მდივნები აწარმოებენ საქმეს, რომელშიაც ჩაეწერება დრო კომისიათა სხდომის გახსნისა და დახურვისა, რიცხვი ამომრჩეველთა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კენჭის ყრაში, ამომრჩეველთა განცხადებანი, თავმჯდომარეთა განკარგულებანი და კომისიათა დადგენილებანი; არჩევნების დამთავრების შემდეგ ოქმები და საარჩევნო ფურცლები კომისიის საჯარო სხდომებზე წაითხულ უნდა იქნეს და აგრეთვე ხელწერილი კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისა და შემოწმებული მდივნის მიერ.

29. ის პირი, რომელიც შეეცდება დაარღვიოს თავისუფლება და სისწორე ხმოსანთა არჩევნებისა, დაისჯება 3281—3287 მუხ. სასჯ. დებ. (გაგრძ. 1912 წ.).

30. არჩევნების დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიები დაიხურება და მათი საარჩევნო წარმოება ყველა საბუთით ორი დღის განმავლობაში გაეგზავნება ადგილობრივ აღმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელს, რომელსაც შეიძლება დღის განმავლობაში შეუძლიან გასაჩივროს არჩევნები აღმინისტრაციულ სასამართლოს სათანადო ინსტანციაში.

31. არჩევნების გამო საჩივრები სამი დღის განმავლობაში არჩევნების გათავებიდან შეუძლიან აღძრას მხოლოდ იმ პირს, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს. ასეთი საჩივრები უნდა შეტანილ იქნეს აღმინისტრაციულ სასამართლოს სათანადო ინსტანციაში.

32. პროტესტებისა და საჩივრებს მე-30 და 31 მუხ. აღნიშნული აღმინისტრაციული სასამართლო განიხილავს 7 დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო წარმოების მიღებისა. თუ სასამართლომ სცნო მთლიანად არჩევნების უკანონობა, გააუქმებს არჩევნებს. ქალაქის გამგეობა, მიიღებს რა სასამართლოს ამნაირ დადგენილებას—ერთი თვის განმავლობაში მოახდენს ახალ არჩევნებს. უკეთეს სასამართლომ ზოგიერთი ხმოსანი სცნო უკანონოდ არჩეულ ქალაქის გამგეობა ამ პირთ გამორიცხვას და მათ მაგიერ ჩასწერს მორიგ კანდიდატებს, რომელნიც სიებში იქნებიან აღნიშნულნი. სასამართლოს ამნაირი გადაწყვეტილება უნდა ასრულდეს, თუცა შესაძლებელია ისიც გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში უზენაეს სასამართლოში.

33. საარჩევნო წარმოების დასრულების შემდეგ ქალაქის გამგეობა შეადგენს ცენტრალურ სიაში ხმოსანებისა და კანდიდატების ამომრჩეველთა მიერ წარმოდგენილ თვითთელი სიის მიხედვით. ხმოსანთა და კანდიდატთა სიები გამოცხადდება ოფიციალურ გაზეთში ან საჯაროდ გამოქვეყნდება ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული საშუალებით.

34. საარჩევნო წესების დაწერილობითი ზოგიერთი მხარე, რომელიც ვერ იქმნა აღნიშნული ამ კანონში, განიმარტება ცალკე დადგენილებით, რომელსაც გამოსცემს შინაგან საქმეთა მინისტრი.

35. უკეთეს უზენაესა სასამართლომ გააუქმა არჩევნები ყველა ხმოსანისა, ახალი არჩევნები დაინიშნება შემოაღნიშნული წესების ძალით. ამ (35) მუხლში ნაჩვენებ წესით ამომრჩეული ქალაქის საბჭო ასრულებს თავის მოვალეობას იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ნაჩვენებია ამ კანონის პირველ მუხლში.

36. სანამ ახლად არჩეული ხმოსანები დაიწყებდნენ თანამდებობის ასრულებას ძველი ხმოსანები ალაგებულ იქნებიან და მათი დადგენილებანი ძალაში რჩება.

37. უკეთეს უზენაესა სასამართლომ უარყო ხმოსანების ერთი ნაწილი მათ ალავს დააქვრენ კანდიდატები წარმოდგენილი სიების მიხედვით.

1918 წ., დეკემბრის 17.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორღანიძე.

გ ა მ ო დ ი ს ა.

მატარებელი № 1—გადის თფილისიდან—17 ს. და 42 წ., ხაშურიდან—22 ს. და 22 წ., რიონიდან—3 ს. და 09 წ., ჩადის ფოთში—6 ს. და 33 წ., „ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ., „ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ., „ რიონიდან—23 ს. და 21 წ., გადის ფოთში—4 ს. და 36 წ., „ № 5 გადის თბილისიდან—22 ს. და 30 წ., „ ხაშურიდან—4 ს. და 02 წ., „ რიონიდან—9 ს. და 18 წ., ჩადის ფოთში—13 ს. და 08 წ.

გ ა მ ო დ ი ს :

მატარებელი № 2 ფოთიდან—20 ს. და 49 წ., 0 ს. და 14 წ., რიონიდან—5 ს. და 01 წ., ოთიან 22 ს. და 34 წ., № 4 იონიდან—4 ს. და 30 წ., რურიდან—12 ს. და 15 წ., ხაშისში მოდის 18 ს. და 25 წ., თბილფოთიდან—16 ს. და 11 წ., № 6 ხაშურიდან—2 ს. და 33 წ., თბილისში მოდის 7 ს. და 20 წ., მატარებლები №№ 1 და 2, სწრაფა, თბილისსა და ფოთს შუა, ყვეფა ვაგონების საჯდომი ალაგები დანომრილია. პლაკარტი ღირს სამგზავრო ბილეთის ფასის გარდა, 20 დან. ყველა ვაგონებში. მატარებლები №№ 5 და 6—სამგზავროა თბილისსა და ფოთის შუა ყველა ვაგონებში საჯდომი ალაგები დანომრილია, პლაკარტი ღირს გარდა სამგზავრო ბილეთის ფასის 10 მან. ყველა კლვსებში. მატარებლები № 3 და 4—საფოსტოა თბილისსა და ფოთს შუა პლაკარტთა.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.